

ინტერნეტ ტექნოლოგიური განვითარების როლი ნარკოტიკების შექმნის
პროცესში

ნათია ნათუნაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

დავით ოთიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2019 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ნათენაძე

30.06.2019

აბსტრაქტი

შესავალი: ბოლო ათწლეულში, ინტერნეტ ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, გაიზარდა ნარკოტიკული ნივთიერებების ხელმისაწვდომობა, ნარკოტიკების ბაზარმა ფიზიკური სივრციდან ციფრულ სივრცეში გადაინაცვლა. მომხმარებლებისთვის გამარტივდა შეძენის პროცესი და გაიზარდა სასურველი ნივთიერებების არჩევანი. მოცემული კვლევის მთავარი მიზანია საქართველოში ნარკოტიკების შეძენის ალტერნატიული მოდელების შესწავლა და ყიდვა-გაყიდვის პროცესში ციფრული და ინტერნეტ ტექნოლოგიების როლის აღწერა.

მეთოდი: კვლევა განხორციელდა თვისებრივი მიდგომით: ჩატარდა ინდივიდუალური ჩაღრმავებული ინტერვიუები და დისკუსიები ფოკუსურ ჯგუფებში. სულ გამოიკითხა 19 ადამიანი, რომელთა ჩაწერაც ციფრული ხმოვანი მოწყობილობის საშუალებით მიმდინარეობდა. მონაცემები დამუშავდა თვისებრივი მონაცემების ანალიზისთვის განკუთვნილი პროგრამა Nvivo-ს მეშვეობით

შედეგები: როგორც აღნიშნული კვლევიდან ჩანს, ინტერნეტის და ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, გაიზარდა ნარკოტიკული ნივთიერებების ხელმისაწვდომობა და გამარტივდა ყიდვის გზები, რამაც სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა სამართალდამცავი სტრუქტურები მთელ მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოში. ქართულ ნარკოტიკების ბაზარზე რუსულენოვანი ვებგვერდებისა თუ გამყიდველების მომრავლებამ შეცვალა ნივთიერებების შეძენისა და შემდგომში მაღაზიისა თუ დილერის შეფასების კულტურა, ერთმანეთისთვის უცნობი მომხმარებლები დააკავშირა ერთმანეთს და სასაუბრო აპლიკაციებსა თუ დარქნეტ ვებგვერდებზე მისცა გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა.

დასკვნები: რესპონდენტთა უმრავლესობა ახლობელი გადამყიდველისგან ნივთიერების შეძენას ამჯობინებს, რადგან აღნიშნული გზით თავიდან ირიდებს კანონის თვალსაზრისით არსებულ საფრთხეებს და უფრო მეტად ენდობა მეგობარს, ვიდრე ინტერნეტში განთავსებულ ვირტუალურ მაღაზიას. ამიტომაც, გამოიკვეთა ამ ფენომენის შესწავლის საჭიროება მეგობარი გადამყიდველების როლის უკეთ დასაზრუნად. ასევე

აუცილებელია პროგრამების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება მომხმარებლებში ცნობიერების ამაღლებაზე შეძენილი ნივთიერებების სისუფთავესა და სანდოობასთან დაკავშირებით;

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნარკოტიკების შეძენა, ინტერნეტი, დარქნეტი, ტელეგრამი, მატანგა, ბიტკოინი.

Abstract

Background: In the last decade, following the development of internet technologies, drugs have become easier to access. The drug market has moved from the physical space to the digital one. Now users can buy drugs more easily and with wider variety.

The goal of this research is to study the alternative methods of buying drugs in Georgia and to describe the role of digital and internet technologies in the modern drug trade.

Methods: The research was done in the qualitative type: we did individual in-depth interviews with focus groups. In total there were 19 people surveyed. The data was analyzed using the program “Nvivo” which is designed to analyze qualitative data.

Results: As the research showed, following the development of the internet and digital space, buying drugs have become more available and easier to purchase, which has burdened the law enforcement with harder tasks in Georgia, as well as the rest of the world. Increase of Russian language websites and sellers on the Georgian market has changed the culture of trading and evaluating the seller or the shop, it also has created an underground online community in the chat apps and dark net websites, where the users can share their experience. Most of the subjects we’ve interviewed prefer to buy drugs from a known seller, because it’s way safer to trust a friend/associate than a stranger on the internet or an online shop.

Conclusions: There is an increase in Georgia in mobile apps and contactless, anonymous transactions in the drug trade process. The main reason for this is convenience, the wide variety

(including the new psychoactive substances) of drugs and the lesser probability of getting arrested. However, there is a higher risk in buying a new and unknown substance, or maybe the declared composition of the drugs is different than the one being sold. The strategies that the law enforcement currently employs are not effective in case of online drug trade. It's important to have more research done regarding this topic and to develop new programs for users, to raise their awareness and focus on new trade models, as well as how to lessen the risks of the usage.

Key Words: Buying Drugs, internet, Darknet, Telegram, Matanga, Bitcoin.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, დავით ოთიაშვილს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.

მადლობას ვუხდით დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის „ალტერნატივა ჯორჯიას“ მკვლევარს, ირმა კირთაძეს, კვლევის დასაწყისში გაწეული კონსულტაციისთვის.

ბოლო კი, მადლობას ვუხდით იმ რესპონდენტებს, რომლებმაც გამონახეს დრო კვლევაში მონაწილეობის მისაღებად. მათი ჩართულობისა და წვლილის გარეშე აღნიშნული კვლევის განხორციელება შეუძლებელი გახდებოდა. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კვლევის იმ მონაწილეებს, რომელთაც კვლევაში მონაწილეობის შემდგომ მომაწოდეს იმ ვებგვერდებისა თუ პლატფორმების მისამართები, რომელთა სქრინშოტებიც გამოყენებული მაქვს ნაშრომში.